



ეკონომიკური პოლიტიკა



ჟურნალის რედაქცია ამ რუბრიკით აგრძელებს სალექციო კურსის, მეთოდური საკითხების შესახებ სტატიების სისტემატურ გამოქვეყნებას თანამედროვე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე, რომელიც გარკვეულ სამსახურს გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ყველა დონის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების ფართო წრეს.

მიკრო და მცირე ბიზნესი. საქონლისა და მომსახურების ბაზრები. რესურსების ბაზრები

რევაზ შენგელია

ელ. სტუ სრული პროფესორი,
ჟურნალ “ეკონომიკის” მთ. რედაქტორი

ქუჩუნა წიკლაური

ელ. სტუ სრული პროფესორი

ნათია შენგელია

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ეკონომიკაში, სტუ პროფესორი

მიკრო და მცირე ბიზნესი. “მეწარმეთა შესახებ” კანონი და საგადასახადო კანონში ცვლილებების შედეგად წარმოიშვა მიკრო ბიზნესის სტატუსის ფიზიკური პირისა და მცირე ბიზნესის სტატუსის მეწარმე ფიზიკური პირის ცნება. ისმის კითხვა – ვის შეიძლება მიენიჭოს მიკრო ბიზნესის ფიზიკური პირისა და ვის მცირე ბიზნესის მეწარმე ფიზიკური პირის სტატუსი და როდის შეიძლება მისი გაუქმება?

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს,

რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება, გაუქმება და მიკრო ბიზნესის სერტიფიკატის გაცემა ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით **საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის აღგილის მიხედვით, რისთვისაც გაიცემა მიკრო ბიზნესის სერტიფიკატი. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს.**

რა შემთხვევაში უქმდება მინიჭებული მიკრო ბიზნესის სტატუსი?

მიკრო ბიზნესის სტატუსი მიმდინარე საგადასახადო წელს შეიძლება გაუქმდეს, თუ: ა) ფიზიკურმა პირმა საგადასახადო ორგანოს მიმართა მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების ან მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით; ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო-მაგერი-ალური მარაგების ნაშთი აღემატება 45 000 ლარს. 3. თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში აღემატება 30 000 ლარს და დარღვევიდან 15 დღის ვადაში არ მიმართავს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით.

ვის შეიძლება მიენიჭოს მცირე ბიზნესის მეწარმე ფიზიკური პირის სტატუსი?

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, თუკი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

რა შემთხვევაში უქმდება მცირე ბიზნესის სტატუსი?

საგადასახადო ორგანოს მიერ მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებისა და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსვლის საფუძველი:

ა) მეწარმე ფიზიკურმა პირმა საგადასახადო აღრიცხვის აღგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს არა უგვიანეს საგადასახა-

ლო წლის დასრულებისა მიმართა მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით;

ბ) დაირღვა ერთობლივი შემოსავლის ოდენობის შეზღუდვა;

გ) მეწარმე ფიზიკურ პირს წარმოეშვა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციაზე დადგომის ვალდებულება;

დ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის სასაქონლო-მაგერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 150 000 ლარს.

ე) მეწარმე ფიზიკური პირისთვის საკონტროლო-საღარიბ აპარატების გამოყენებლობისათვის სანქციის კალენდარული წლის განმავლობაში 3-ჯერ დაკისრება.

თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში გადააჭარბებს 100 000 ლარს და მოეხსნება სტატუსი, მას უფლება აქვს, კვლავ მიიღოს სტატუსი:

ა) თუ სტატუსის გაუქმებიდან მომავალი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა არ აღემატება 100 000 ლარს;

ბ) სტატუსის გაუქმებიდან 12 კალენდარული თვის მომდევნო წლიდან, თუ პირი არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი.

როგორია მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი და გადასახადის განაკვეთები:

1. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, იბეგრება 5 პროცენტით;

2. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ: ა) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე ღირებულებული ხელფასის ხარჯისა) დამატებითი დოკუმენტები; ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მე-

წარმე ფიზიკური პირი საქმიანობს მხოლოდ სპეციალური სავაჭრო ბონის ტერიტორიაზე. მიკრო და მცირე ბიზნესის საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა ხდება საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით **საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე**; მიკრობიზნესის სტატუსის ფიზიკური პირი, როგორც ითქვამს, არ იხდის მიმდინარე გადასახადს. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია მიმდინარე გადასახდელების თანხები ყოველი კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე შეიტანოს ბიუჯეტში.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც დაუდგა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება, ვალდებულია გაგარდეს რეგისტრაციაში და გამოდის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან.

ამგვარად, ახალი კანონმდებლობით მთავრობა მცირე და მიკრო ბიზნესს გამარტივებულ სარეგისტრაციო და საგადასახადო რეგულაციებს სთავაზობს. ასე მაგალითად: ინდივიდუალური მეწარმისა და იურიდიული პირის სტატუსის კომპანიებისაგან განსხვავებით მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი რეგისტრაციას გადის და სერტიფიკატს ღებულობს არა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში ან სახალხო ბანკის ნებისმიერ ფილიალსა და სერვის ცენტრში, არამედ საგადასახადო ოგანოში და არ იხდის სარეგისტრაციო მომსახურების საფასურს (მოსაკრებელს).

საქონლისა და მომსახურების ბაზრები. საქონელი არის სასარგებლო თვისებების მატარებელი გასაყიდად დამზადებული სამომხმარებლო და საწარმოო დანიშნულების საგანი. ესაა: სურსათი, განსაცემელი, ფეხსაცმელი, ავტომანქანა, გემი, თვითმფრინავი და ა.შ. **საქონლის საბაზრო ფასი** არის გამყიდველისა და მყიდველის გარიგების (შეთანხმების) საფუძველზე ჩამოყალიბებული ფასი.

საქონლის განსაკუთრებული სახეობაა **მომსახურება**, ვინაიდან არ შეიძლება მისი არც სახლში წაღება და არც გამოყენება. ის უნ-

და განვიხილოთ იმ ამრით, თუ რა გაკეთდა. მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ ქიმწმენდა, სარეცხის რეცხვა, ავტომანქანის რემონტი, სამედიცინო მომსახურება, კონსულტაციები და სხვა. **მომსახურების ფასის ნაირსახეობაა გარიფი.**

საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე ფირმები ყიდიან, საოჯახო მეურნეობები კი ყიდულობენ. საქონლისა და მომსახურების ბაზრები ერთობ მრავალრიცხოვანია თვით საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნებისა და მრავალრიცხოვნობის გამო. ამიტომ ლოგიკურია განვიხილოთ მხოლოდ მათი ძირითადი სახეობები.

მომსახურების ბაზარი ემყარება სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის მესამეულ სექტორს. ასე მაგალითად, მსოფლიოს მშპ-ის 68% მომსახურებაზე მოდის. **ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მომსახურების ბაზარზე ღომინირებს** განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, ხელოვნების, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო, საბინაო და კომუნალური მომსახურება. **განვითარებად ქვეყნებში კი სჭარბობს გრადიციული— საგრანსპორტო, სავაჭრო და საზვეების მომსახურება.** მომსახურების პირველი თავისებურება ისაა, რომ მისი მოხმარება ხდება წარმოების ადგილზე და ამიტომ აქ შეძლებულია ადგილი მომსახურების მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის შუამავლებისათვის. მომსახურების ბაზრის მეორე მახასიათებელია ის, რომ მომსახურების ზოგიერთი სახეობა მომხმარებლისთვის უფასოა (მაგალითად, დაწყებითი, საშუალო და მნიშვნელოვანწილად უმაღლესი განათლება). ეს იმიტომ, რომ აღნიშნული და სხვა რიგი მომსახურება ითვლება სოციალურად მნიშვნელოვნად და ანაზღაურდება სახელმწიფოს და მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

საქონლის ბაზარი შეიძლება დაიყოს სხვადასხვა კუთხით. ერთი მხრივ, სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონლის ბაზრად, მეორე მხრივ, სანედლეულო საქონლისა და მზა ნაწარმის ბაზრად. სამომხმარებლო ბაზრისთვის დამახასიათებელია, უწინარეს ყოვლისა, ამ საქონლის მასიური წარმოება და გასაღება. სხვა მნიშვნელოვანი მომენგია, ხანგრძლივი მოხმარების საქონლის (სახლი,

მსუბუქი ავტომობილი, საყოფაცხოვრებო გექნიკა და სხვა) წილის ზრდა.

საინვესტიციო საქონლის ბაზრისათვის დამახასიათებელია ის, რომ აქ საქონელი შეიძინება ძირითადად ფირმებისა და არა საოჯახო მეურნეობების მიერ. ამასთან, არც თუ იშვიათად, მყიდველთა და გამყიდველთა რაოდენობა არც ისე დიდია (მაგალითად, სამაგისტრო სახელმწიფო თვითმფრინავების ბაზარზე).

სანედლეულო საქონლის ბაზარზე ვაჭრობა ხორციელდება, უწინარეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულითა და სურსათით, სამრეწველო ნედლეულით, ასევე ენერგომატარებლებით და ენერგიით. ამ საქონელთა არც ისე დიდი მრავალფეროვნება შესაძლებლობას იძლევა საბირჟო ვაჭრობის ორგანიზებისა ცალკეულ ქვეყანაში (მაგალითად, ლონდონის ბირჟაზე ლითონისა) და მთლიანად მსოფლიოში. **სასოფლო-სამეურნეო ნედლეულითა და სურსათით ვაჭრობის მნიშვნელობა** მსოფლიოში თანდათან მცირდება, ენერგომატარებლებითა და ენერგიით ვაჭრობის მნიშვნელობა კი შენარჩუნებულია. **მზა ნაწარმის ბაზარი მთლიანობაში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სანედლეულო ბაზარი**. მზა ნაწარმი ღომინირებს ქვეყნების უმრავლესობის შიდა ვაჭრობაში, ასევე საქონლით მსოფლიო ვაჭრობაში.

რესურსების ბაზრები. მეწარმეები წარმოებისათვის აუცილებელ ფაქტორებს **რესურსების ბაზარზე იძენენ**, სადაც ფასები მიწაზე, შრომაზე და კაპიტალზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ყალიბდება. განასხვავებენ წარმოების ფაქტორთა სრულყოფილ და არასრულყოფილ ბაზრებს. პირველზე შესვლა და გამოსვლა თავისუფალია, მეორეზე კი—შეზღუდული. **წარმოების ფაქტორთა ბაზრის თავისებურება ის არის**, რომ წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნა (ფასები) მეორადია და განისაზღვრება ამ ფაქტორებით წარმოებული პროდუქციაზე (სამომხმარებლო საქონელზე) მოთხოვნით, რაც მაღალია მოთხოვნა ამა თუ იმ სამომხმარებლო საქონელზე (მომსახურებაზე), მით მაღალია მოთხოვნა მისი წარმოებისათვის საჭირო რესურსებზე (ფაქტორებზე). მაგალითად, თუ გაიზარდა მოთხოვნა პურზე შესაბამისად გაიზრდება მოთხოვნა ხაბაზზე,

პურის საცხობ ღუმელზე და ა.შ. **რესურსების ბაზარზე ფასწარმოქმნა სპეციფიურია და ბევრად განსხვავდება სასაქონლო ბაზარზე ფასწარმოქმნისაგან.** საოჯახო მეურნეობები რესურსების გაყიდვიდან იღებენ თავიანთი შემოსავლის ძირითად ნაწილს, ხოლო ფირმები რესურსების შეძენისას გაიღებენ თავიანთი ძირითად ხარჯებს. **ამიგომაა, რომ რესურსებზე ფასწარმოქმნა არის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის საგანი, რომლის გამოც სახელმწიფო უმრავლეს ქვეყანაში ერევა რესურსებზე ფასწარმოქმნაში.** ასე მაგალითად, აშშ-ი სახელმწიფო აფიქსირებს შრომის საათობრივი ანაზღაურების მინიმუმს, საქართველოში გაზზე და ელენეგიაზე მარეგულიებელი კომისია ადგენს ფასების ყოველწლიური ზრდის ზღვარს და სხვა. ამას გარდა, რესურსები უფრო ხშირად ურთიერთშემცვლელი და ურთიერთშემავსებელია, ვიდრე საქონელი. ასე მაგალითად, რესურსებზე ფასებიდან გამომდინარე, პროდუქციის ერთი და იგივე რაოდენობა შეიძლება წარმოებული იქნას შრომის მცირე რაოდენობით, ანუ მანქანების დიდი რაოდენობით და—პირიქით (პირველი ვარიანტი დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის მათი ძვირადღირებული შრომის, ხოლო მეორე ვარიანტი— განვითარებადი ქვეყნებისათვის მათი ძვირი კაპიტალის გამო). ამასთან, წარმოებიდან კაპიტალის მიერ შრომის სრული გამოღევნა ან შრომის მიერ—კაპიტალისა შეუძლებელია, რამდენადაც ისინი ურთიერთქმედებენ.

და ბოლოს, სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვანაირად არის აღჭურვილი რესურსებით და ამიგომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და რეგიონში რესურსებზე შიდა ფასები სხვადასხვაა. რესურსების ამგვარი ღიფერენციაცია არის საფუძველი სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული ანალოგიურ საქონელზე არა მხოლოდ ფასების სხვადასხვაობისა, არამედ ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაზე ქვეყნის სპეციალიზაციისაც. სხვადასხვა პროდუქციის წარმოებისას ხომ საჭიროა რესურსების სხვადასხვა კომბინაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენციის საბაზრო ეკონომიკისათვის დმახასიათებელი იყო წარმოების ოთხფაქტორიანი სისტემა, თანამედროვე, განვითარე-

ბული საბაზრო ეკონომიკისათვის კი დამახასიათებელია ხუთფაქტორიანი (მიწა, შრომა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი) სისტემა, სადაც შემოსავლის სახით მიწაზე მოდის რენტა, შრომაზე – ხელფასი, კაპიტალზე – პროცენტი, მეწარმეზე – მოგება და სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარზე – შემოსავალი ე.წ. ირიბი გადასახადების სახით.

შრომისადმი უნარი ანუ სამუშაო ძალა არის ადმიანის ფიზიკურ და სულიერ უნართა ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც იწარმოება ეკონომიკური ღირებულება. ფულში გამოხატული მუშაკის შრომის ანაზღაურება **ნომინალური ხელფასია**, ამ უკანასკნელის ყიდვითიუნარიანობა კი – **რეალური ხელფასი**. შრომის ანაზღაურება ნამუშევარი ღრის მიხედვით **ღრითი ხელფასია**, ხოლო შრომის ანაზღაურება დამზადებული ნაწარმის რაოდენობის მიხედვით – **სანარდო ხელფასი**. შევნიშნავთ, რომ ბაზარზე იყიდება არა შრომა, არამედ შრომის უნარის, სამუშაო ძალის გარკვეული ვადით გამოყენების უფლება. განსაზღვრული ფულადი კაპიტალის (კრედიტის) გამოყენების საფასურია **კაპიტალზე პროცენტი**, ხოლო კაპიტალიზებული მიწის რენტა **მიწის ფასია**.



შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 233-50-23, 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 233-50-23, 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
გადაეცა ასაწყობად 15.09.2013წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.10.2013წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11.